№ 142

კვირა, 5 ივლისი, 1898 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 142

კვირა, 5 ივლისი, 1898 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მერვიდმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე კაცებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1898—9 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3), ბუხგალტერია (მარტივი, ორ-კეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და მთის ქუჩაზედ, ავთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ზ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—8)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ვ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. ა. ი. რუდენკო. $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი. 12—1 საათ ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)

## დაარსდა

ახალი კანტორა დიდებულიძისა, სადაც მსურველთ შეუძლიანთ შეიტყონ ყოველგვარი ცნობა, როგორც, მაგ. ადგილის შოვნის და სხ. შესახებ. მოლაპარაკება კანტორასთან შეიძლება სიტყვიერად და წერილითაც. ბარიათინსკის ქუჩა, № 3. (3—107—2)

## საპედაგოგიო კურსების შესახებ.

„ივერიის“ მკითხველებმა უკვე იციან, რომ ტფილისში ამ ჟამად გამოწვეულნი არიან სამრევლო სკოლების მასწავლებელნი საპედაგოგიო კურსებზედ თეორიულ ლექციების მოსასმენად და სანიმუშო-სამაგალითო გაკვეთილების მისაცემად. რამდენჯერმე გვქონდა შემთხვევა დავსწრებულიყავით ამ „კურსებს“ და ჩვენის შთაბეჭდილების გაზიარება მკითხველთან განვიზრახეთ. თავდაპირველად მეტად სასიამოვნოა ის გარემოება, რომ მოთავე და ხელმძღვანელნი ამ კურსებისა არიან თავიანთ საგნის კარგად მცოდნენი და გატაცებით აღმსრულებელნი პედაგოგიურის ტვირთისა. საკმარისია მოისმინოთ მათი ლექცია, სადა და გასაგების ენით წაკითხული, დასარწმუნებლად, რომ საგანი კურსებისა საუცხოვოდ აქვთ გათვალისწინებული, რათა განუმტკიცოს მსმენელთა მეთოდი წერა-კითხვის შესწავლისა და საერთოდ გონებითის აღზრდისა.

პატიოსან ხელმძღვანელთა შრომა უნაყოფო ნიადაგზედ არ სწარმოებს. გამოწვეულნი მასწავლებელნი—ქალნი და კაცნი იშვიათის ყურადღებით ეპყრობიან თავიანთ საქმეს და საშინელის სიცხის მიუხედავად, რომელიც ტრიალებს დარბაზში, გულმოდგინედ ითვისებენ ლექტორების აზრსა და სამაგალითო გაკვეთილის შედეგს. სჯა-ბაასი საღამოობით მიცემულ გაკვეთილის შესახებ ავარჯიშებს მათ ცოდნას და სძენს გაუმჯობესებულს მეთოდს წერა-კითხვის საქმისას. დიდის სიყვარულით უნდა იყოს აღჭურვილი კაცი თავისის საგნის მიმართ, რომ ამ პაპანაქებაში დილის რვა საათიდან ორ საათამდის და საღამოს ექვს საათიდან ათს საათამდის არ დაიზაროს ყოველ დღე შესწიროს თეორიულად და პრაქტიკულად შესწავლას სამოსწავლო საგნისას. ეჭვი არა გვაქვს, რომ ეს სამაგალითო შრომა არ ჩაივლის უნაყოფოდ და შეიტანს ჩვენს სამრევლო სკოლის წარმოებაში განახლებულს სიოს და გაუმჯობესებულს მეთოდს. სწავლა კაცს სიბერემდის არ მოსჭარბდებაო, ნათქვამია და ეს ბრძნული აზრი საპედაგოგიო საქმეშიაც ჭეშმარიტია, როგორც ყოველს სხვაგვარ საგანში. საგნის თეორიულად შეგნება, გაკვეთილის მიცემა და მისი დაფასება-განხილვა შესძენს ახალგაზდა მასწავლებელს ბევრს საჭირო ცოდნას და წინ წააწევინებს ჩვენის განათლების სვებედს. ჩვენ ხომ, მოგეხსენებათ, ამ ჟამად განათლებისთანად სხვა არა-რა გვეჭირვება.

ა. ხახანაშვილი

## მთავრობის განკარგულებანი

გადაყვანილ იქმნენ: გროზნის ზურგის ჯარის პოდპორუჩიკი მელია—ბაქოს

## ფელეტონი

### შიმშილი

— ყმაწვილებო, იცით რა არის შიმშილი?

— როგორ?

— რასა ჰგრძნობს მშიერი ადამიანი? იქნება ვისმე თქვენგანს გამოცდილი ჰქონდეს?—ესა გვკითხა პაწია ჯგუფს ახალმა ნაცნობმა.

ყველა ჩვენგანმა თავისებურად ვუპასუხეთ, მაგრამ ამით ჩვენი თანამოგზაური როდი დაკმაყოფილდა.

— თქვენ არ გამოგიცდიათ, როგორც გამჩნევთ, და არცა გცოდნიათ—რა არის შიმშილი. ნება მომეცით გიამბოთ ერთი ამბავი ჩემის საკუთარის ცხოვრებიდგან, რომელიც ცოტაოდნად გაგაცნობთ „შიმშილს“.

უცნობი ჩამოჯდა ხომალდის ბაქანზედ დადგმულს სკამზედ და დაიწყო თავისი ამბავი.

სანამ განვაგრძობდეთ, მეტი არ იქნება გავიცნოთ, მკითხველო, მოამბე და ის ადგილი, სადაც ყოველივე ეს მოხდა.

როდესაც ოდესიდგან გამოსული ჩვენი ხომალდი ნოვოროსიას გამოსცილდა, მგზავრთა შორის შევამჩნიეთ ერთი შუატანისა, შავგრემანი კაცი, რომელმაც ჩვენი ყურადღება მიიქცია. არიან ისეთი კაცები, რომელნიც პირველ დანახვისათანავე თქვენ თვალ-ყურს ატყვევებენ. ის შავგრემანი ბატონიც ამათგანი იყო. მისი უდროვოდ შეთეთრებული თმა წვერი მუდამ დაფიქრებული და დაღარული სახე, განცალკევებით ყოფნა ხომალდის ბოლოს, უამხანაგოდ—ძალაუნებურად აღგვიძრავდა გაცნობის სურვილს. ერთხანს ჩვენც მისებრივ ვადევნებდით თვალს წყნარად მიმავალ ხომალდიდგან კოპწიად გადაშლილს შავ ზღვას. საუცხოვო რამ იყო ამ დღეს შავი ზღვა, თითქოს სადღესასწაულოდ მორთულს ყველასი მოხიბლვა-მიპატიჟება ჰსურდა და მოციქულად დამშვიდებულს, დამორჩილებულ ტალღებს ჰგზავნიდა კიდეებზედ გადაშლილ არე მარესკენ. თვით მზესაც-კი ეარშიყებოდა. უკვე სტუმრად წვეულს ჩვენს ხომალდს ფირუზის ფერ ზვირთებით ეთამაშებოდა, რაღასაც ებუტბუტებოდა და განუწყვეტლივ ელერსებოდა. მიყვარს, საშინლად მიყვარს ეს დიდებული სტიქიონი, სანამ ზარ-დამცემ სიბრაზეს ლამაზ ზედა-პირით ჰფარავს და არავის არას ავნებს. დავაშორეთ თვალი ზღვას, დავინახეთ ის უცნაური მგზავრი და გაცნობის სურვილმაც კვლავ თავი იჩინა.

ერთის საათის შემდეგ გავიცანით კიდეც.

ბევრი ვიბაასეთ. ათასი რამ გვკითხა. ძლიერ მოგვეწონა ალფონს ტარნო—ამ სახელით გაგვეცნო. თუმცა ფრანგული გვარი ჰქონდა, მაგრამ თითონ ფრანგი არ უნდა ყოფილიყო, ვინ იყო, კარგად ვერ გავიგეთ. უთუოდ კოსმოპოლიტი უნდა ყოფილიყო. მგზავრობაში ხომ უფრო ხშირად ასეთს კაცებს შეხვდებით.

საღამოს ათი საათი იყო. ხომალდზედ ცოტა მგზავრები ღა დარჩნენ: ზოგი დასაძინებლად წავიდა, ზოგი სავახშმოდ, ზოგიც—პირველ კლასის დარბაზში ფორტეპიანოს ისმენდა. ჩვენც კარგად გვესმოდა მუსიკის ხმა. ასეთ დროს კოჭლი მემუსიკეც კარგია. გარშემო ჰბნელოდა, მხოლოდ ერთი ელექტრონის ლამპარი დაგვნათოდა თავს. ვარსკვლავებს ღრუბლები გადაჰფარებოდა. ზღვა თავისებურად ჰშრიალებდა, მაგრამ ეხლა იგი უფრო საშიში იყო. ჩვენ ცხარე საერთო ლაპარაკი გვქონდა.

აი, ამ დროს დაგვეკითხა ალფონს ტარნო შიმშილის შესახებ და დაიწყო კიდეც თავისი ამბავი.

„ცხოვრება ჭრელია, მაგრამ სავალალო ის არის, რომ ამ ჭრელ სურათზედ შავი საღებავი სხვებზე უფრო მეტია, სურათი ჭრელია და თან მობნელო—ამ გვარი ახსნა უფრო ნამდვილი იქნება. გახედეთ გარშემორტყმულ ბნელს და მაღლა ცაზედ მიმოფანტულ ვარსკვლავებს, რომელნიც ხან-დასმით გამოჩნდებიან ხოლმე ღრუბლებში და ისევ იმალებიან. აი, ნამდვილი სურათი ჩვენის ცხოვრებისა. გარს შემორტყმული ბნელი ჩვენი მუდმივი მდგომარეობაა; ვარსკვლავები—ბედნიერება, გამოჩნდება, ვხედავთ, მაგრამ ჩვენთვის, ჩვენდა დასაახლოვებლად როდი არსებობს... შეშინდით უთუოდ გულ-გატეხილი, ცხოვრების მარტო ბნელად წარმომდგენელი გგონივართ. არა, ბატონებო, მე სულ სხვა აზრის კაცი ვარ. ცხოვრების შესახებ საკუთარი შეხედულობა მაქვს; ყველა თეორია და ფილოსოფოსთა აზრი ამ ქვეყნად ნაკლულევანებით სავსეა...

მე ის ვიყავ ყოველ მხრივ, რაც დღეს არა ვარ. ცხოვრების ტალღებმა არივ-დარია ჩემი მდგომარეობა; რაც იყო—გაჰქრა, წარვიდა. ვინ ვიყავ, რა ვიყავ—წარსულმა იცის; დეე იცოდეს: ისეთს მესაიდუმლეს ვერსად ვიშოვი. თქვენ გსურთ გაიგოთ ჩემი ვინაობა, მაგრამ ეს მეტად მიმაჩნია: ზეგ ხომ ერთი მეორეს დავშორდებით, უეჭველად სამუდამოდ. თქვენ ალფონს ტარნო და „შიმშილის“ ისტორიაც გეყოფათ. ჩარხიც გადატრიალდა და დავტოვე ის, რასაც დაბადებიდგანვე შევეჩვიე; წაველი, დავადექი ახალს გზას. წარსულის დაბრუნება შეუძლებელი იყო, უთუოდ მომავალი უნდა შემექმნა.

ჩაველი უცხოეთში. ჩემ თვალ წინ გაიშალა უცხო, მაგრამ ძლიერ ლამაზი ბუნება. ბულბული, ნაზი ნიავი, ფაქიზი ჰაერი, მწვანე ყვავილები, ფართოდ გაშლილი მინდვრები, იქვე ამართული მთები, ძირს დინჯად მიმდინარე წყალი, ზედ ხომალდები, ნავები, თეატრი, მუსიკა და სხვა გულის გამახალისებელი საშუალება. ყველა ეს მზად დამხვდა, მაგრამ ესენი ჩემთვის მეტი იყო: ვერას დამეხმარებოდნენ. ამხანაგები ბევრი მყავდა (ჩვენებურებიც ერივნენ). პირველად მხარი მომცეს. მაგრამ ჩემი ნამდვილი მდგომარეობა რომ გაიგეს, წარსულით დასჯა რომ შემამჩნიეს, გულ-გრილად დამიწყეს ცქერა. ბრაზი მომივიდა, ზურგი შევაქციე. განსაკუთრებით ერთს მღვდლის შვილს და ერთსაც მოვაჭრეს მემკვიდრეს. ამათში განხორციელებული გაიძვერობა (პირველში) და სისულელე (მეორეში) იყო. დავშორდი ყველას და დავიწყე მომავლისთვის ძალის მოკრება, მუშაობა. ვმუშაობდი ისეთის სიმწარით, როგორათაც მუშაობენ სისხლის მწოველ მექარხნეს ქარხანაში სულმიხდილი მუშები, თავს არ ვზოგავდი.

ორის წლის განმავლობაში გაჭირვებით თავი გავიტანე.

დადგა მესამე წელი, ჩემთვის საშინელი რამ! ვამბობ—ჩემთვის-მეთქი, მაგრამ მაშინაც მყავდნენ დიდძალი ამხანაგები. შეიძრა კვლავ ჩარხი და უარესს განსაცდელს მიმცა. გაჰქრა იმედი, არსაიდგან არას მოველოდდი.

გამიჩნდა ამხანაგი, რომელმაც ხელი მომაწოდა და დახმარება აღმომიჩინა. ღმერთო ჩემო! რა იყო თურმე!?!.. ეს დახმარება თავისის სახელის გასადიდებელ საშუალებად

მე-153 ქვეითა რაზმში; თელავ-თიონეთის ნაწილის მომრიგებელი შუამავალი, თავადი ვეზირიშვილი—დუშეთის მაზრის მომრიგებელ-შუამავლად; დუშეთის მაზრის მომრიგებელ-შუამავლის თანამდებობის აღმასრულებელი, თავადი ჭავჭავაძე—თელავს თიონეთის ნაწილის მომრიგებელ-შუამავლი-თანამდებობის აღმასრულებლად.

დანიშნულ იქმნა, ფინანსთა მინისტრის ნება-რთვით, სახაზინო პალატის საგანგებო საქმეთა შტატს გარეშე მოხელე კვალიაშვილი—ქ. ტფილისის მე-2 ნაწილის ხარჯთ-ამკრებ ინსპექტორის თანაშემწედ.

# ახალი ამბავი

⁂ კავკასიის მთავარმართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი ტფილისს ჩამოვა ესსენტუკიდგან 20 ივლისს და შემდეგ ზაფხულის გასატარებლად კოჯორს წავა.

⁂ გუშინ-წინ, 3 ივნისს, ტფილისის 200 პოლიციელი ქალაქში თავ. ივ. მაჩაბელს დაეძებდა. პოლიციელთ დილის 6 საათიდგან ქალაქის ყველა მივარდნილი ადგილი და ხევი დაიარეს და დაჩხრიკეს, მაგრამ დაკარგულის კვალსაც-კი ვერ მიაგნეს. გუშინ პოლიცმეისტერის განკარგულებით გაგზავნილ იქმნენ ცხენოსანი დარაჯები ქალაქს გარეშემო, მინდვრებსა, ხევებსა და არხებში მაჩაბლის მოსაძებნად. თავ. მაჩაბელს მაზრის პოლიციაც დაეძებს. როგორც შევიტყეთ, ისეთი კაცებიც აღმოჩნდნენ, რომელთაც პოლიცმეისტერს გამოუცხადეს, რომ მაჩაბელი 29 ივნისს მცხეთის რკინის გზის სადგურზედ ვნახეთო. ამის გამო გუშინვე ტფილისის პოლიცმეისტერმა მიჰმართა მცხეთის ბოქაულს და სთხოვა, გამოიძიე, მანდ ხომ არ არის, ან არ ყოფილა თავადი მაჩაბელიო.

⁂ გუშინ, 4 ივლისს, ქალაქის გამგეობამ იჯარით გასცა ქალაქის აფთიაქი—ოთხის წლის ვადით. აილო აფთიაქი ჟანაგოვმა, რომელმაც უნდა გადაიხადოს ქალაქის სასარგებლოდ 4,305 მან. და ყოველ წლივ აძლიოს უსასყიდლოდ 950 მან. წამალი იმ რეცეპტებით, რომელთაც საბჭოს მკურნალები დასწერენ.

⁂ გუშინ, 4 ივლისს, შეერთებულმა კრებამ ქალაქის გამგეობისა და იმ კომისიისამ, რომელსაც ხორცის ნიხრის დაწესება აქვს მინდობილი, დაადგინა დაუკლოს ნიხრს. სახელდობრ, ამიერიდგან გირვანქა ძროხის ხორცი ეღირება 7 კაპ., ცხვრისა 8½ კაპ. გუშინვე გამგეობამ ეს დადგენილება გუბერნატორს გაუგზავნა დასამტკიცებლად.

⁂ გუშინ, 4 ივლისს, ქალაქის ტეხნიკოსმა პოლიციითურთ დაათვალიერა საზაფხულო თეატრის შენობა „ერმიტაჟი“ და აღმოაჩინა, რომ შენობის კოჭები იმდენად გაფუჭებულია, რომ წარმოდგენის გამართვა საშიშია. ტეხნიკოსმა განკარგულება გასცა, რომ ეს თეატრი გაუქმებულ იქმნასო.

⁂ გუშინვე, 4 ივლისს, გამგეობის წევრმა თავ. არღუთინსკი-დოლგორუკიმ და სამკურნალო სასანიტარო ინსპექტორმა დაათვალიერეს და გაჩხრიკეს მე-9 ნაწილის სასტუმროები. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია „როსსიამ“-მ, რომელიც სისაძაგლისა და გარყვნილების ბუდედა ყოფილა გადაქცეული.

⁂ ხუთშაბათს, 3 ივლისს, სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორმა გასინჯა მეორედ, „კრუჟოკის“ მოსამსახურენი; აგრეთვე პოლიციის მიერ ამ დღეს სამკურნალოში მოყვანილი კაცები, დუქნებსა და სავაჭრო ადგილებში მოსამსახურენი, რიცხვით 12 კაცი. მათ შორის ერთი ავის სენით სნეული აღმოჩნდა.

⁂ ქალაქ ტფილისის მოურავის განკარგულებისამებრ, ქალაქის გამგეობამ ამ ჟამად ხელი მიჰყო სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტების საანგარიშო წიგნების განხილვას.

⁂ ქალაქის გამგეობამ 2 ივლისის კრებაზედ დაადგინა: ტფილისის მე-2 ნაწილის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის ზედამხედველად, ამ დღეებში დათხოვნილ ყუზანოვის მაგიერ, მე 3 ნაწილის ზედამხედველი თავ. არღუთინსკი-დოლგორუკი დაჰნიშნოს და ამ უკანასკნელის ადგილზედ ზედამხედველის თანაშემწე ბ-ნი ქოჩორიანცი.

⁂ ამ დღეებში დაამთავრებს მუშაობას ის კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის უძრავ მამულების დაფასება.

⁂ სიღნაღის მაზრის სოფ. ქვემო მაჩხაანის სასოფლო საზოგადოებას შუამდგომლობა დაუწყია კავკასიის სამკურნალო ნაწილის გამგეობის წინაშე, რომ ნება მოგვეციო ჩვენის ხარჯით სასოფლო სამკურნალო დავაარსოთო.

⁂ სატყეო დეპარტამენტის დირექტორის ბ-ნის ნიკიტინის ტფილისში ჩამოსვლას საგნად ისა აქვს, თუ რაგვარად შეიძლება დაცულ იქმნას გაჩეხვისაგან ამიერ-კავკასიის ტყეები. ტფილისიდგან ბ-ნი ნიკიტინი შემოივლის თელავს, სიღნაღს, ზაქათალას, ნუხას და სადგურ ევლახიდგან გაემგზავრება ბაქოსკენ.

⁂ 1 ივლისიდგან ტფილისის ტელეფონების წარმოება ჩაჰბარდა განსაკუთრებულს დაწესებულებას, რომლის გამგედ დანიშნულ იქმნა ელექტროტეხნიკი კ. პ. ჩინნოი და სამუშაო მწარმოებლად—ელექტროტეხნიკი ე. ა. პოჟიდაევი, რომელსაც უნდა მიჰმართოს მსურველმა ყოველ ტელეფონის შესახებისის საქმის გამო.

⁂ ქალაქის გამგეობა 3 ივლისს მოელაპარაკა ტფილისის მალაკანთა საზოგადოებას იმის შესახებ, რომ შეგიძლიანთ თუ არა 25 ოქტომბრისათვის, როდესაც ქალაქი უსახელო საზოგადოებისაგან ცხენის რკინის გზას გამოისყიდის, საკმაო ცხენები გვიშოვოთ და მოგვყიდოთო.

⁂ წელს სოხუმის ორ-კლასიან სამთო სასწავლებელში სწავლა დაამთავრა 13 მოსწავლემ, რომელთაგან 8 ქართველია, 3 ბერძენი, ერთი რუსი და ერთიც აბხაზი.

⁂ ტფილისის სამკურნალო გამგეობაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ახალქალაქის მაზრის სოფ. ბარალეთის სასოფლო სამკურნალო სოფ. ეფრემოვკაში იქმნას გადატანილიო.

⁂ გაზ. „ახ. მიმ.“ სწერს, რომ ერევნის ვიცე გუბერნატორს თავ. მ. ა. ნაკაშიძეს უმაღლესს თანამდებობას აძლევენ ამიერ კავკასიის მხარეშივეო.

⁂ სატახტო ქალაქების გაზეთები სწერენ, რომ ზღვათა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული ბათუმის ნავთსადგურის გაფართოების შესახებაო.

⁂ სოფ. საგარეჯო, (ტფილისის მაზრა). ამ დღეებში აქაურ მცხოვრებელს ალექსი ლაფაჩს მოჰპარეს ცხენი. ლაფაჩმა მაჳასახლისს გამოუცხადა, მაგრამ მაინც ჯერ არსად აღმოჩენილა დანაკარგი. არც გზები გვივარგა საგარეჯოელებს, მაგრამ ჩვენი პატრონი არავინ არის.

⁂ სოფ. ზედა-ხუნწი, (სენაკის მაზრა). ზოგიერთ ადგილას ამ ღარიბ სოფელში აღმოუჩენიათ გამოცდილთ ნახშირის მადანი, რომელიც მცოდნე კაცის შემოწმებით აღმოჩნდა ძალიან კარგის ხარისხისა—და სასარგებლო სახმარად. 100 ფუთამდე, თუ მეტი, დ. ხონშიაც გავგზავნეთ გასასინჯად და მშვენივრად გამომდგარიყო როგორც თუჯის ღუმელებსა, ისე ჩვენებურს ბუხრებშიაც, ასე რომ ბევრად არ ჩამოუვარდება თურმე ანტრაციტის ქვა-ნახშირს. სიმხურვალე ამ ნახშირის ცეცხლს ძლიერი აქვს, დიდხანს არა ჰქრება და ნაცარსაც ცოტასა სტოვებს. თუ ამ საქმეს ყურის მგდებელი ეყოლა, ამ სოფლის სიმდიდრე ბევრს ღარიბს სოფლებს ცოტად თუ ბევრად გაჭირვებიდგან დაიხსნის.

⁂ ს. აწყური, (თელავის მაზრა). არა ჟამს არ არის ჩვენი გლეხი ისე ღვთის მოსავი, როგორც მაისში. სხვა დროს, რომ კვირა-უქმე არ ახსოვდეს, ამ დროს ორშაბათსაც უქმობს, რათა ღმერთმა აღირსოს ჩაკვლევა გულის სასიამოვნო მოსავლისა. მაგრამ რა გამოვა?!. არამც თუ სხვა-და-სხვა მაზრასა და შორს სოფლებში, არამედ ერთისა და იმავე მაზრის ერთი-ერთმანეთს ახლო სოფლებშივე სულ სხვა-და-სხვა გვარ უქმეთა დაწესებულებაა, რაც სასულიერო წოდების ბრალია. ერთს სოფელში კოხიჯრობას აუქმებს, სხვა იქვე მყოფი გლეხები ჰმუშაობენ, მეორე მრევლში ივანობას აუქმებს—გვერდზედ სხვანი მუშაობაში არიან. ერთს სოფელში მრევლმა იუქმა რალაც ზადიკობა, მეორე სოფელმა იმუშავა, იმ დროს მეხი დაეცა ამ სოფელს და ერთი სახლი ჩაიტანა—ყველანი ზადიკობის დიდს ძალას აწერდნენ ამას. კარგი იქნებოდა, რომ ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევდნენ, უქმეები სოფლებში ერთგვარად დაწესდებოდეს, რათა მოისპოს მრევლსა და მოძღვართ შორის ქიშპობა.

კახეთში კავკასიონის ქედი არ

---

გაეხადა. მეორე დღესვე ხუთმა ნაცნობმა მითხრა:

— რა კარგის გულის ადამიანი ყოფილა ივანეო!

— როგორ?.. აღელვებული დავეკითხე.

— ამხანაგს მეგობრულს ხელს აწვდის...

— ვის?!..

— თქვენ, ალფონსს!

— საზიზღარი, უსინიდისო ადამიანი არის და არა კეთილის გულის პატრონი-მეთქი,—შევყვირე.

— როგორ?

— საზიზღარია, ფლიდი!!...

— თქვენ...

კიდევ სთქვეს რაღაც, მაგრამ მე არა გამომიგონია-რა, მსწრაფლ დავშორდი და წავედი.

ორის საათის შემდეგ ჩემი კეთილის-მყოფელი მობრძანდა და სასადილოში მეპატიჟებოდა—მე სახლიდგან დავითხოვე. საშინელება რამ არის როცა შემთხვევით დავარდნილს კაცს მათხოვრად გხდიან, მათხოვარსავით გაწვდიან დახმარებას და ამასაც თავისს საქებ-სადიდებელ საშუალებად არჩევენ. იმ დღეს არა მიჭამია-რა. საჭმელიც რომ მქონოდა, სულის კვეთება ნებას არ მომცემდა. კეთილის მყოფელი ჩემთვის სამუდამოდ დაიკარგა.

საღამომდის სახლში ვიყავი. მზემ დაიპირა თუ არა ჩასვენება, გასასეირნებლად წავედი. მიყვარს ხოლმე მზის ჩასვლისას მაღლობზედ ჯდომა და თვალის დევნება, როგორ ეფარება დედამიწას ბრჭყვიალა მნათობი. რაღაც საერთოს ჰხედავს ჩემსავით დაჩაგრული ადამიანი მზის ჩამალვის შემდეგ თანდათან გაძლიერებულს ბნელში. საკვირველიც არ არის: ორივეს მდგომარეობას „ბნელი“ ეწოდება.

ვინ მოსთვლის რამდენი რა ფიქრი გამოიწვია დღე და ღამის ბრძოლამ! ბუნების დიადს მოვლენას, თუ ცვლილებას ყოველთვის სულისა და გულის ვითარების ცვალებადობა მოსდევს.

მეორე დღეს შუადღისას ჩემთან მოვიდა ნიკოლოოზი, ესეც ამხანაგი იყო. ცოტა ხანს ვილაპარაკეთ სხვა-და-სხვა საგნების შესახებ, ივანეს ქცევა მოიგონა, დაუწყო კიცხვა. ერთი საათის შემდეგ სახლიდგან გავედი. ნიკოლოოზი სასადილოში მიდიოდა. როცა სასადილოს დაუახლოვდით, გამოვემშვიდობე.

— სად მიდიხარო? დამეკითხა ნიკოლოოზი.

— ალეკინის ქუჩაზედ-მეთქი, ვუპასუხე.

— რადა?

— საქმე მაქვს.

— ჯერ სადილი ვჭამოთ და მერე მეც წამოვალ იქით.

ამ სიტყვების გაგონებისათანავე ჟრუანტელმა გამიარა. რაღაც უცნობმა მდგომარეობამ გამიტაცა. ხმას ვერ ვიღებდი...

— წამო, რაღას სდგეხარ...

ამ სიტყვებმა გონს მომიყვანა.

— არა, სადილად დაპატიჟებული ვარ-მეთქი.

— ჯერ ადრეა!

— არა, უთუოდ ეხლა უნდა წავიდე.

დავშორდი, მაგრამ სადილად არსად არ წავსულვარ, ან სად უნდა წავსულიყავი?

ჩქარის ფეხის ნაბიჯით წამოვედი სახლში. მშიოდა... შევედი ოთახში, ერთი ნაჭერი პური მქონდა ცოტა გამხმარი, ის შევჭამე და ორი ჭიქა წყალი დავლიე. სწრაფად დავკეტე კარები, გასაღები გამოვიღე, გავიხადე და დავწექი. დამეძინა. მალე გამომეღვიძა. ამ დროს ვიღაც კარებს მოადგა.

— ვინა ხარ? დავეკითხე.

— მე ვარ, მიპასუხა ნიკოლოზმა.

— ეხლავ, მივაძახე და კარები გავუღე.

— გეძინა?

— ცოტა.

ნიკოლოზი რაღაც კაკვირვებით შემომაჩერდა.

— ალფონს, ავად ხომ არა ხარ?

— არა.

— ცუდი ფერი გადევს!

— ძილის შემდეგ აგრე ვიცი.

ვილაპარაკეთ. ის სახლში წავიდა, მე ოთახში დავრჩი, დიასახლისის ბიჭს სამოვარი დავადგმევინე: ოთხი ნატეხი შაქარი კიდევ მქონდა, ცოტა ჩაიც, პურზედ-კი უარი უნდა მეთქვა.

ბიჭმა სამოვარი შემოიტანა. ჩაი დავაყენე.

— პური, ბატონო?

— არ მინდა დღეს...

გავიდა.

სამოვარი გამალებული ჩუხჩუხებდა და უხვად ისვრიდა ოშხივარს, რომელიც ჰაერში სწრაფად უჩინარდებოდა. ამანაც ბევრი რამ მომაგონა. აქაც რაღაცა საერთო ვიპოვე. თითქმის ერთი საათი მივჩერებოდი სამოვარს, დავისხი ჩაი და მიტეხით ექვსი ჭიქა ჩაი დავლიე. მეორე დღესაც დილით იგივ გავიმეორე. ამ გამეორებამ ბოლო მოუღო ჩემს ჩაისა და შაქარს. მოვკიდე ხელი წიგნს. გადავშალე და დავიწყე კითხვა...

გაიღო ოთახის კარები და შემოვიდა ნიკოლოოზი. მართალი გითხრათ, მიკვირდა ამ კაცის ჩვეულების წინააღმდეგ ასე მალ-მალე სიარული. შევნიშნე კიდეც. ამხანაგურად მთხოვა, სადილად ვწვევოდი. მეც ცოტა ფიქრის შემდეგ დავეთანხმე და გავუდექით გზას... მშიოდა კიდეც.

შევედით სასადილოში, სადაც საერთო სუფრაზედ ივანეც წამობრძანებულიყო. ნიკოლოოზმა ხელი ჩამოართვა, მე—არა. ჩვენ შორი ახლოს დავსხედით. ნიკოლოოზმა სადილი მოითხოვა.

— თქვენ არ გინდათ სადილი!—მეკითხებოდა მსახური.

— მმმმ... მინდოდა რაღაც მეთქვა.

— ჰო, მართლა, ჰა, კაცო, მარკა! რა ნაირი ადამიანი ხარ!... საყვედურით მომაწოდა სადილის მოსათხოვი მარკა.

ივანემა და ნიკოლოოზმა არა—ჩვეულებრივის ღიმილით გადაჰხედეს ერთმანეთს. ავცახცახდი.

— შენც!!!... შევძახე გონებადაკარგულმა.

— დაწყნარდი.

— დაიკარგეთ... თქვენც იმასთან ერთად!—შევყვირე მეორედ და გამოვედი.

— ყველანი განცვიფრდნენ; ზოგი სულით ავადმყოფსაც დამიძახებდა, მაგრამ სხვამ რა იცოდა, ჩემს გულში რა ცეცხლი დატრიალდა იმ დროს!

ვერაფერი გამეგო... ყველგან საძაგლობას ვხედავდი.

გაბრაზებული მოვვარდი სახლში და ბოლთის ცემა დავიწყე. მთელი დღე ჯოჯოხეთში ვიყავი. გიჟსავით დავრბოდი ოთახში. ასეთს ტანჯვაში მყოფს საღამოც მეღირსა. შვიდს საათზედ ბიჭმა ჩვეულებრივ სამოვარიც შემომიტანა. პურის მოტანაზე უარი ვუთხარი.

ნახევარ საათის შემდეგ მსახურმა ისევ მომკითხა:

— შეიძლება გავიტანო სამოვარი,

იღებს თოვლს, ამ თიბათვეში უფრო იმატა კიდეც, იმიტომ ღრუბლები მაღლა ვერ ადის და ელვა ქუხილის დროს მეხი ხშირია. ამას წინად მეხი დაეცა ალავერდს ერთ კაცს და იქვე სული დაალევინა. სოფ. ზემოხოდაშენს დააზორიელა ერთი დედაკაცი და სამს დღეს ძლივსღა მოსულიერდა, სოფ. აწყურში ერთი სახლი დაანგრია..... ყოველ წვიმის მოსვლას მცირე სეტყვა მოსდევს სიცივეების გამო და გულს უხეთქავს მეურნე ხალხს, რომელიც მშვენიერ ყანებს და ნაყოფით გაფოთებულ ვაზებს შეჰხარის.

⁂ როგორც ქალაქის გამგეობის ცნობებიდგანა სჩანს, ამა წლის პირველ ნახევარს ქალაქის კასსაში შესულა; დაფასების გადასახადისა—142,719 მან. 18 კ., სატივოდგან—3,048 მან., საყასბოდგან—23,984 მან. 95 კაპ., ცხენების გადას.—27,346 მან., ვერის ხიდისაგან—5,600 მან. 4 კაპ., მნაცაკანისა—3,519 მან. 98 კ., სასწორებისაგან—2,529 მან. 24 კაპ., ქალაქის ადგილებისაგან—7,481 მან. 34 კაპ., „ტრაქტირებისაგან“—15,136 მან. 13 კაპ., წყლის მილისაგან—78,346 მან. 67 კაპ. და სხვა.

⁂ 2 ივლისს, საღამოს 6 საათზედ, შორაპნის მაზრის მცხოვრებელი, ამბაკო ეფრემის ძე ომიაძე, 14 წლისა, ბანაობის დროს მტკვარში დაირჩო. გვამი ჯერ ვერ უპოვნიათ.

⁂ გაზ. „ტფ. ფურ.“ სიტყვით, 2 ივლისს, ხელოსანთა გამგეობაში მოსამსახურეთ სარევიზიო კომისიას განცხადება გადასცეს, რომელშიაც სჩივიან, რომ ოთხი თვეა ხელოსანთა მოურავი სერობიანცი ჯამაგირს არ გვაძლევსო. სერობიანცი გვეუბნება, ფული არ არისო, ჩვენ-კი ნამდვილად ვიცით, რომ რაც გამგეობაში ფული შედის, შინ მიაქვს და იქ ინახავსო. ჩვენ ყველა ცოლშვილის პატრონები ვართ, ამიტომ დიდს გაჭირვებაში ჩავვარდით. წინად დუქნებიდგან ნისიად მოგვქონდა ყველაფერი, ეხლა-კი აღარაფერს აღარ გვაძლევენ. ყველა ამის გამო მოსამსახურენი სთხოვენ სარევიზიო კომისიას, ძალა დაატანეთ სერობიანცს, რომ ჯამაგირი დაგვირიგოსო.

## რუსეთი

— უწმიდესმა სინოდმა ყველა ეპარქიაში დაჰგზავნა სია იმ სახელმძღვანელოებისა, რომელნიც მოწონებულია სამრევლო-საეკკლესიო სასწავლებლებში სახმარებლად. ამ სიებიდგან სახელმძღვანელოს ამორჩევა ამა თუ იმ სასწავლებლისათვის მინდობილი აქვს საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს.

— ფინანსთა სამინისტრომ წინადადება შეიტანა სახელმწიფო საბჭოში, რომ კერძო საკომერციო ბანკებს ნება მიეცეთ მოკლე ვადიანი სესხი გასცენ ხოლმე სოფლის მამულებზედაო.

— განზრახვა აქვთ უმაღლესს სპეციალ სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულნი ჯერ სახელმწიფო სამთამადნო და სხვა გვარ ქარხნებში გაჰგზავნონ პრაქტიკულად მეცადინეობისათვის და შემდეგ მისცენ ხოლმე სწავლის დამთავრების მოწმობები.

## უცხოეთი

**ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომი.** „Temps“-ი იუწყება, რომ სანტ-იაგოში მყოფ ესპანიის ჯარის უფროსებმა, გენერლებმა ლინარესმა და ტორალმა გადასწყვიტეს უკანასკნელ სისხლის წვეთამდის ვიბრძოლოთო, ყოველი ღონე ვიღონოთ, რომ სანტ-იაგო ხელიდგან არ გაგვეცალოს, ხოლო თუ ეს ვერ შევძელით და ამერიკელებმა დაგვძლიეს, ქალაქს ცეცხლი წაუკიდოთ და ერთიან გადავბუგოთო. ასეთმა გადაწყვეტილებამ ქალაქის მცხოვრებლნი დიდს შიშსა და საგონებელში ჩააგდო. სანტ-იაგოს ეპისკოპოსმა ურჩია ლინარესს, ქალაქი უომრად დაუთმე ამერიკელებსაო. ასეთსავე თხოვნით ეპისკოპოსმა მარშალ ბლანკოსაც მიჰმართა; მაგრამ ბლანკომ არ შეიწყნარა ეს თხოვნა და დეპეშით უარი შემოუთვალა. სხვათა შორის ბლანკოს დეპეშაში ნათქვამია: „ვიდრე დავიხოცებით, გავიხსენოთ, რომ ჩვენ ჟერონისა და სარაგოსის მამაც და უკვდავ დამცველთა შთამომავალნი ვართო“.—ჰავანიდგან ატყობინებენ „რეიტერის სააგენტოს“, რომ მარშალმა ბლანკომ შემდეგი პროკლამაცია გამოსცაო: „ბედი ყოველთვის არ გაუღიმებს ხოლმე მამაც მებრძოლს. ესპანიის ესკადრა, რომელსაც უფროსობდა ადმირალი სერვერი, გაცილებით უფრო ძლიერ მოწინააღმდეგესთან თავ-გამოდებულ ბრძოლის შემდეგ დაიღუპა და დაიღუპა სწორედ იმ დროს, როდესაც გეგონა, რომ სახიფათოს გასცდა და მტერს ხელიდგან გაუსხლტაო. მართალია, დასაკლისი ძალიან დიდია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ სიმხდალე არ უნდა გამოვიჩინოთ, რათა ამით მტერი არ გავახაროთ და ესპანიის პატიოსნებას ჩირქი არ მოვსცხოთ. სიმხდალე კი არა, ეხლა, როდესაც დაგვამარცხეს, ორჯელ და სამჯერ მეტი სიმამაცე და ვაჟკაცობა გვმართებს. ჩვენ არამც თუ ომის განგრძობა, მოწინააღმდეგის დამარცხებაც-კი შეგვიძლიან. ძალა ჯერ კიდევ საკმაოდ შეგვწევს. მაშ, შევუერდეთ და ვეცადნეთ, დავიცვათ სამშობლოს სიმართლე და იმის „პატიოსნება“.

— „Petit Temps“-ს დეპეშით ატყობინებენ მადრიდიდგან: „ესპანიის ერთმა მინისტრმა ერთის გაზეთის კორესპონდენტს გადასცა, რომ ესპანია უეჭველად ზავს მოსთხოვდა ამერიკას სერვერის ესკადრა რომ არ დამარცხებულიყო. ეხლა-კი, როდესაც სერვერის ესკადრა მიწასთან იქმნა გასწორებული, საჭიროა ომი განვაგრძოთ, რომ სიმხდალე და შიში არავინ დაგვწამოსო. ჰავანიდგან ჯარისა და კუნძულის უფროსები დეპეშით გატყობინებენ, რომ თუმცა სამპსონმა ჩვენი ესკადრა გაანადგურა, მაგრამ იმდენი ძალა კიდევ შეგვწევს, რომ ხმელეთზედ ღირსეული პასუხი გაეცეთ მტერსაო“.

— ადმირალმა სამპსონმა განკარგულება მოახდინა, რომ ტყვე—ესპანელები ამერიკაში გაგზავნონ. თავისუფალ ჯარის-კაცებს კუნძულ სკავში გაგზავნიან, ხოლო აფიცრებსა და მათ შორის სერვერსაც, პარტის სიმაგრეში. ეს სიმაგრე ბოსტონის ნავთსადგურის ნაპირზედ მდებარეობს. ზღვათა სამინისტროს მდივანმა განაცხადა, რომ პრეზიდენტი მაკ-კინლეი უეჭველად ადმირალ სერვერს პატიოსან სიტყვას ჩამოართმევს და ტყვეობიდგან გაანთავისუფლებსო. „Daily Nevs“-ის კორესპონდენტი იუწყება სანტ-იაგოდგან, რომ ამერიკის გემს „Haward“-ზედ მყოფმა 450 ტყვე-ესპანელმა აჯანყება მოახდინესო. ესპანელთ აზრადა ჰქონიათ გემის ზღვაოსანთა ამოწყვეტა. ამერიკელები იძულებულნი გახდნენ თოფები დაეშინათ აჯანყებულთათვის. ამ მცირე შეტაკების დროს მოკლულ იქმნა 6, ხოლო დაჭრილ 12 ესპანელი.

— ვაშინგტონიდგან დეპეშით იუწყებიან: „ზღვათა სამინისტრომ ბრძანება გაუგზავნა სამპსონს, შენის ესკადრის ნაწილი ადმირალ ვატსონს ჩააბარეო. ვატსონი ესპანიის ნაპირებისაკენ უნდა გაემართოს“. როგორც სანტ-იაგოდგან მოსულის დეპეშებიდგანა სჩანს, ადმირალის ვატსონის ესკადრა კიდეც გასდგომია გზას. დეპეშების სიტყვით, ვატსონმა ჯერ კამარის ესკადრა უნდა გაანადგუროს და შემდეგ ესპანიის ნავთსადგურებს ალყა შემოარტყას.

—

**გერმანია.** გაზეთები იუწყებიან, რომ თავადი ბისმარკი საშიშოდ არის ავადაო. უკვე რამდენიმე კვირა იქმნება, რაც „რკინის კანცლერი“ ოთახიდგან აღარ გამოსულა თურმე. ბისმარკი იმდენად დასუსტებულა, რომ სიარულიც კი აღარ შესძლებია. მიუხედავად ამისა, ბისმარკი დიდის გაფაციცებით ადევნებს თურმე თვალ-ყურს პოლიტიკას. განსაკუთრებით იმის ყურადღება რეიხსტაგის არჩევანებს მიუქცევია. სოციალ-დემოკრატების გამარჯვება საშინლად სწყენია მოხუცებულს თავადს. „როდესაც რეიხსტაგში, უთქვამს მას, ორასი სოციალისტი იქმნება, მაშინ საქმეს აღარაფერი ეშველება და აწინდელ გერმანიას ბოლო მოეღებაო“.

—

**საფრანგეთი.** ამას წინად დეპეშამ ამბავი მოიტანა, რომ ახალ შოტლანდიის ნაპირის მახლობლად საფრანგეთის გემი „ლია-ბურგონ“-ი ინგლისის ერთს გემს დაეჯახა და დაიღუპაო. როგორც ეხლა გაზეთები იუწყებიან, ამ უბედურობის დროს დაღუპულა სულ 565 ქალი და კაცი. გემზედ მყოფს ქალებს შორის მხოლოდ ერთი ქალი გადარჩენილა, სახელდობრ პროფესორის ლაკასის ცოლი. გემის დაღუპვის სურათი მეტად შესაზარი და შემაძრწუნებელი ყოფილა. მგზავრები შიშისაგან ისე გადარეულან, რომ ერთმანეთს ყელს ტავდნენ და ხოცავდნენ, რათა გზა გაეკვლიათ და ნავებში ჩამსხდარიყვნენ. განსაკუთრებით საძაგლად მოქცეულან გემის აფიცრები და ზღვაოსნები. იმის მაგივრად, რომ წესიერება დაეცვათ, ქალები და ბავშვები გადაერჩინათ, აფიცრები და ზღვაოსნები ნავებიდგან ჰყრიდნენ უბედურს წყალში და თვითონ სხდებოდნენ თურმე. ზღვაოსნებს რამდენიმე კაციც-კი მოუკლავსთ. გადარჩენილს ირლანდიელს უთქვამს, რომ ერთმა ზღვაოსანმა ნავის მოსასმელი ნიჩაბი დაარტყა და თავი გაუტეხა წყალში ჩავარდნილ კაცს, რომელიც ნავს მოებღაუჭა და ზევით ამოსვლას აპირებდაო. მეორე ზღვაოსანმა ერთ ნემეცს ცული დასთხლიშა თურმე. ყველაზედ ბევრი დედა-კაცები და ბავშ-

---

— შეიძლება.

— მოხარშული ჩაი რაუყავით, ბატონო?

— გადავყარე.

ბიჭმა გაკვირვებით შემომხედა, დაავლო სამოვარს ხელი.—მიხვდა უთუოდ, რომ არ დამილევია ჩაი და წავიდა სამზარეულოში. მე ისევ წაღმა-უკუღმა სვლა დავიწყე. მთელი საღამო არსად არ წავსულვარ, დაბნელდა. მინდოდა სანათური ამენთო, მაგრამ ნავთი არ აღმოჩნდა. დავჯექ ფანჯარასთან; ცოტა ხნის შემდეგ მთვარემაც ამოყო თავი და უხვად შემოანათა ოთახში: გამიხარდა.

ავაყოლე თვალი მთვარეს, მივეცი თავი ღრმა ფიქრებს. რას ვფიქრობდი—არ მახსოვს, ვიცი მხოლოდ რომ დაღვრემილ-დაღონებული შევჩერებოდი ჰაერის უჩინარ სრბოლას და მნათობთა ელვარებას; ხანდისხან წყნარი, საამო ნიავი მიკრილებდა შუბლს: გონზედ მოსულს მამაგონდებოდა საშინელი აწმყო მდგომარეობა. რას წარმოადგენდა მაშინდელი ყოფა-ცხოვრება! არსით გზა, არსით შველა. ერთ თვემდის არც არაფრის იმედი მქონდა. იმ დრომდე-კი რა უნდა მექნა?!... უბრალო მუშის საქმეს ვეკისრებდი, მაგრამ შეუსაწყნარებელ მიზეზთა გამო ესეც არ შემეძლო.., ეს გახლდათ ის მდგომარეობა, როცა არა ერთი ესალმება წუთი-სოფელს, ჩემს ახლოს ასეთს აზრს გავლაც არ შეეძლო. ტანჯვა-უსია მოვნებას აშორებული ცხოვრება მე ცხოვრებად არ მიმაჩნია. ვის ცხოვრების სართავსაც წვალება აკლია, ის არა სცხოვრობს, ის საგიჟეთში იმყოფება. მე ვაებასა და ნეტარებას ერთ გვარ საზომით ვუყურებდი და ვუცქერი ეხლაც; თვალს ვადევნებ მსოფლიოს მსვლელობას და ხანდისხან ვცდილობ გარემოების გაუმჯობესობას, თუმცა მწამს, რომ სამუდამოდ გაუმჯობესობა შეუძლებელია. ვინც აგრე უყურებს ქვეყნიერებას, ის ბუნებრივ სიკვდილით კვდება ყოველთვის.

გათენდა... ცოტა ხანს ფანჯარასთან მიმეძინა. ერთს საათს მეძინა, მერე ავდექი, პირი დავიბანე, მივედი სარკესთან: თავის დავარცხნა მინდოდა, ჩავიხედე შიგ და დავინახე სახე. ამ სახეს ცხადად ემჩნევოდა ჩემის გულის ვითარება და წვალება: ავადმყოფს დავემსგავსებოდი. დავაკვირდი პირი-სახეს და მწარედ ჩავიცინე.

— ნუ იცინი! შევყვირე სარკეში დამალულს სახეს.

ამაზე ბიჭი შემოვიდა. დარცხვენილმა სამოვარი მოვატანინე, რადა, მეც არ ვიცოდი; როგორც მოიტანა, ისევ ისე უკლებად გაიტანა. უფრო ცუდს გუნებაზედ დამაყენა: წყეული შიმშილის მადა გამიღვიძა.

შიმშილი ვიგრძენი...

ჩემს თავს საერთო სისუსტეს ვამჩნევდი, მოთმენა აღარ შემეძლო, უთუოდ უნდა მეშოვნა ერთი ლუკმა საჭმელი... მინდოდა შიმშილი დავიწყებისთვის მიმეცა, მაგრამ შეუძლებელი შეიქნა: თან და თან უფრო სიძლიერეს იჩენდა. გადავწყვიტე ერთ ნაცნობთან მისვლა. მივედი, მაგრამ სახლში ქალები დამხვდნენ; ვერც გავაკეთე რა. მეორესთან (უცოლოსთან) მივედი, სახლში არ იყო. დაღალული იქვე შორი-ახლო ქუჩის სკამზე ჩამოვჯექი და სისუსტე ვიგრძენი. ჩემს პირდაპირ სასტუმრო იყო, სადაც უკვე საუზმეს მიირთმევდნენ; ნდომა გაგიჟდა, შიმშილმა ფრთა გაშალა. ისევ სახლში დავაპირე წასვლა. გზაში ერთი ტრაბახა პოლკოვნიკი შემხვდა.

— დღეს სტუმარი მყავს და შენც მეწვიეო.

— გმადლობთ მეთქი.

— უთუოდ.

— სამწუხაროდ, არ შემიძლიან.

პოლკოვნიკს ეწყინა, მაგრამ რა უნდა მექნა: იქ წასასვლელად მორთვა არ შემეძლო. ძალა-უნებურად მშიერს სადილის უარი უნდა მეთქვა.. ყოფილა ადამიანის ცხოვრებაში ისეთი შემთხვევა, რომ გწყურიან და მოწოდებულ წყალისაგან უარს ამბობ, ვერა სვამ! არაფერი არ მიკვირს!..

მოვედი საკუთარს ბინაზედ. შესვლისათანავე მთელს ავლა დიდებას გადავავლე თვალი, გადავშინჯე, მაგრამ დასაგირავებლად გამოსადეგი არა აღმოჩნდა რა. შევჩერდი... გადავხედე წიგნებს, მაგრამ ყველა მათგანი ჩემთვის განუშორებელი წმიდათა-წმიდა იყო. აქაც არაფერი... ჩამოვჯექი, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, დავვარდი...

გამწარებული მშიოდა!...

მსწრაფლად წამოვარდი, გადავქექე ტანისამოსის ჯიბეები, უჯრების კუთხე, მთელი ოთახი... ამაოდ, არსად ერთი კაპეიკი არ იყო დარჩენილი...

არსად არაფერია. მშიან...

გადავათვალიერე ხელ-ახლად ოთახი, იქნება პურის ნატეხი იყოს სადმე დარჩენილი-მეთქი. მადლობა ღმერთს! დიასახლისის საწიგნეზედ ეგდო ობ-მოდებული, გაქვავებული პურის ნატეხი. გაშმაგებული მივვარდი, ავაცალე ხელით ობი, დავასველე წყალში და სანეტარო გემოვნებით შევჭამე.

პურის ნატეხმა უარესად მომამშია; შიმშილი გაორკეცდა. ვეძებ კიდევ ხმელ პურს, მაგრამ არსად არ არის... საშინელებაა!... დავვარდი...

წამოვდექ ისევ, დავიწყე ოთახში ხეტიალი, რა ვქნა, აღარ ვიცი: მშიან... მზათა ვარ საკუთარი ხორცი შევჭამო. აი, ის წუთი, როდესაც მშიერი კაცი გადასწყვეტს ხოლმე ადამიანის ხორცის შეჭმას. დიდის სიამოვნებით შევჭამდი. დავაჩერდი საკუთარს მაჯებს, თავს ბრუ დამესხა...

— მართლა!—წამოვიძახე და გავექანე საწოლისაკენ.

საწოლზედ ბალიშის ქვეშ უხმარი წუღები მქონდა. მოვნახე უცებ, მოვგლიჯე ქვედა ტყავი, ძირი და ჩავაგდე დასარბილებლად წყალში.

— დალბება და ვჭამ-მეთქი, ვფიქრობდი.

იქ მდე—მახსოვს—გაკვირვებით წავიკითხავდი, ან მოვისმენდი ხოლმე ამბავს—ამა-და ამ დროს ამა-დაამ კაცებმა ფეხსაცმელი შეჭამეს და ათასი არა ჩვეულებრივი რამ სჭამეს და სვესო. ეს ყოველივე მაკვირვებდა, ეხლა-კი არა, ათასჯერ არა. ეხლა მარტო მოგონება თმას ყალხზედ დამიყენებს, ამაცახცახებს ხოლმე.

— კმარა, ეხლა-კი ივარგებს, გავიფიქრე ხუთის წუთის შემდეგ.

მოვკიდე ხელი ტყავს, გადავავლე წმინდა წყალი, გავჭიმე და ჩავაბჯინე მაგრად კბილები; დავიწყე ღეჭვა...

— ალფონს!.. მომესმა ამ დროს.

გაიღო კარები და შემოვიდა ჩემი ბიძაშვილი. ტყავი გადავაგდე.

— ალფონს, მე ერთის თვით ჩამოვედი.

— მეტიც არ მინდა-მეთქი, გავიფიქრე და გადავეხვიე...

ამის შემდეგ აგრე არ მომშივებია, მაგრამ ვიცი კარგად, რა არის შიმშილი და რას ჰნიშნავს მშიერი ადამიანი...

მალაქია ბოლქვაძე

გები დ:ღუპულან. ბავშვებს კაცები ნაპებიდგან პირდაპირ წყალში ისვრიდნენ და თვითონ იჭერდნენ თურმე იმათ ადგილს. რამდენსამე ბავშვს გადასარჩენ თოკისთვის წაუვლია ხელი, მაგრამ ზღვაოსნებს არც ეს მოსწონებიათ და თოკები დაუჭრიათ. საზოგადოდ, დამსწრენი ამბობენ, რომ ძნელია წარმოიდგინოს კაცმა ყველა ის უბედურება და სისასტიკე, რაც ამ გემის დაღუპვის დროს მოხდაო.

## ნაკვესი

35 წლის ყმაწვილი ქალი აკადმყოფობს. მკურნალმა ურჩია, გათხოვდითო.

— კარგი, მკურნალო, თანხმა ვარო, უპასუხა გახარებულმა ქალმა.

— არა ქალბატონო, ნამდვილს აზრს ვერ მიმიხვდით. ჩვენ, მკურნალები, წამალს გამოვუწერთ ხოლმე სნეულებს, მაგრამ ჩვენვე იმ წამალს არა ვხმარობთო!.. დაამშვიდა მკურნალმა.

## სასამართლოს მატიანე

თაიროვის და წამალაშვილის საქმე.

3 ივლისს ტფილისის ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებამ განიხილა საყურადღებო საქმე, დავა აღძრული ი. ა. თაიროვის მიერ ილია წამალაშვილის წინააღმდეგ ვერაზედ, ბ ნ თაიროვის მამულის გვერდით მდებარე ნაჭერ მიწის შესახებ. აი ვითარება ამ საქმისა. ილია წამალაშვილი ამ ორის წლის წინად მომრიგებელმა მოსამართლემ იცნო სადავო ნაჭერ მიწის მესაკუთრედ. შეიტყო თუ არა ეს ამბავი ივ. თაიროვმა, დავა ასტეხა და ამტკიცებდა, რომ ეგ ნაჭერი მიწა ჩემია, 1882 წელს იჯარით მივეცი შიოევს, შიოევმა კიდევ თვის მიერ იჯარით აღებულს მიწაზედ სახლი ააშენა და ეს სახლი მიჰყიდა წამალაშვილს, მიწას-კი ვერ მიჰყიდდა, რადგან თითონ არ ეკუთვნოდაო. წამალაშვილი ამტკიცებდა, რომ მაგ მიწით ვფლობ როგორც მესაკუთრე თითქმის 15 წელიწადია და არასოდეს არ მიყიდნია იგი შიოევისაგანაო. მომრიგებელ-მოსამართლემ სამართლიანად იცნო თაიროვის დავა, ოლქის სასამართლომაც დაამტკიცა მომრიგებელ-მოსამართლის გარდაწყვეტილება, მაგრამ სამოსამართლო პალატამ გააუქმა ეს გარდაწყვეტილება და ამიტომ ოლქის სასამართლომ გუშინ-წინ იგი კვლავ განიხილა.

წამალაშვილის ვექილმა, ნაფიც ვექილის თანაშემწემ გვაზავამ აღნიშნა, რომ მოწმეთა ჩვენება ამ საქმეში მოსატანი არ არის, რადგან სასამართლო იმათის ჩვენებით ვერ იხელმძღვანელებს, იგი შეეხება უძრავ ქონების მესაკუთრეობასაო. ამიტომ გთხოვთ ეს ჩვენებანი ყურად არ იქონიოთ, მით უმეტეს, რომ წამალაშვილის მოწმეებმა იმის მხარეს ილაპარაკეს და თაიროვის მოწმეებმა —თაიროვის მხარესაო. რაც შეეხება ბ-ნ თაიროვისაგან წარმოდგენილს საბუთის ქაღალდებს, არც ერთი საბუთის ქაღალდი არ ამტკიცებს, რომ თაიროვი იყოს ამ სადავო მიწის მესაკუთრეო.

მოპჩივანის თაიროვის ვექილმა, კერძო ვექილმა ტხორჟევსკიმ შენიშნა, რომ სამოსამართლო პალატამ ჩემის მიზეზით გააუქმა სასამართლოს გარდაწყვეტილება, რადგან მე დანამდვილებით არ აღვნიშნე სადავო ადგილის საზღვრებიო. ის ნაჭერი მიწისა, რომელიც შიოევსა ჰქონდა იჯარით აღებული, 20 ოთხ-კუთხი საჟენი იყო და ის-კი, რომელსაც წამალაშვილი ისაკუთრებს, 100 ოთხ კუთხ საჟენამდეა. პირველ შეხედვით ადამიანს ეგონება, რომ ეს ორი სხვადა-სხვა ნაჭერი მიწაა, მაგრამ ეს ასე არ არის, წამალაშვილს საზღვრები გაუწევია, ადგილი 100 ოთხ-კუთხ საჟენამდე გაუფართოებიაო. ამიტომ გთხოვთ დაამტკიცოთ მომრიგებელ-სასამართლოს გარდაწყვეტილება, ხოლო თუ ეჭვი აღგეძრათ ამ მიწის სხვა-და-სხვაობის გამო, მაშინ მიწის-მზომელი დავიბაროთ და იმან განიხილოს ეს საგანიო.

ოლქის სასამართლომ თავისის გარდაწყვეტილების გამოცხადება სხვა დროსათვის გადასდო.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

4 ივლისი

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. კერზონმა განაცხადა, რომ ინგლისმა, საფრანგეთმა, იტალიამ და რუსეთმა საერთო თანხმობით წინადადება წარუდგინეს ოსმალეთის მთავრობას კრიტის კუნძულზე დროებით სამმართველოს დაარსების შესახებ. ეს გარემოება აცნობეს აგრეთვე გერმანიას და ავსტრი-უნგრეთს, რომელთაც თუმცა ჯარი წაიყვანეს კრიტის კუნძულებიდგან, მაგრამ მაინც თავი არ დაანებეს ევროპის კონცერტს. ოსმალეთის მთავრობამ უარი განაცხადა დროებით სამმართველოს დაარსების შესახებ, მაგრამ საეჭვოა, რომ ამან რაიმე მოქმედება გამოიწვიოს. მმართველობის შემოღების პროექტი უკვე სწარმოებს.

**ჰონკონგი.** ჩინეთის ჯარის დამარცხება მეამბოხეთა მიერ თან და თან უფრო მტკიცდება. ვუ-ჩჟოუს მდინარედგან თითქმის ათასი გვამი ამოიღეს და დაასაფლავეს. კანტონში ლაპარაკობენ, რომ მეამბოხეთა ერთი უფროსი წინამძღოლთაგანი მკურნალი სუნ-იატ-ცზენი არისო, რომლის დაპატიმრებამ ლონდონში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია თავისს დროზედ ჩინეთის საელჩოში. კანტონში დიდად თანაუგრძნობენ მეამბოხეთ.

**კონსტანტინეპოლი.** ოსმალეთის მთავრობამ პასუხი მიიღო იტალიიდგან კრიტის საქმის შესახებ. იტალიის მთავრობა იმაზე სდგას რომ კრიტის საქმე უნდა გათავდეს თვით მმართველობის მინიჭებით, რომელიც უნდა ექვემდებარებოდეს სულთანის მფარველობას. კუნძულის დატოვება უმთავრობოდ შეუძლებელია იმის გამო, რომ არ შეიძლება ოსმალეთის მმართველობის შემოღება და პორტასა და ევროპის დიდ სახელმწიფოთა შორისაც არავითარი შეთანხმება არა ყოფილა.

**კაპ-ჰაიტი.** ხელმოწერილ იქმნა სანტ-იაგოს დამორჩილების ქაღალდი. შეერთებულმა შტატებმა მიიღეს პანდოს პირობანი: ესპანელნი უნდა გამოვიდნენ ქალაქიდგან სამხედრო პატივის ცემით და დაუყოვნებლივ უნდა გაგზავნილ იქმნან ესპანიაში.

**სანტ იაგო.** აქაურ ამერიკის ესკადრას ბრძანება მოუვიდა, რომ ყველა დიდი სამხედრო გემები დაუყოვნებლივ იქმნას გაგზავნილი უატსონის ესკადრასთან შესაერთებლად.

**ვაშინგტონი.** უმაღლესს თანამდებობის მოხელენი ამბობენ, რომ მაკ-კინლეის არა ჰსურს დაინარჩუნოს ფილიპპეს კუნძულები, დაკმაყოფილდება ერთის მარიანას კუნძულის გამოთი და ქვანახშირის სადგურით, თუ კუბას მიენიჭება დამოუკიდებელი მთავრობა და პორტო-რიკოც განთავისუფლებულ იქმნება. მაკ-კინლეის არა აქვს აზრად რაიმე სამხედრო საზღაური მოითხოვს, რადგან დარწმუნებულია, რომ ესპანია ომის გაგრძელებას არჩევს, ვიდრე ახალს გარდასახადს იკისრებდეს.

**მადრიდი.** სხმხედრო მინისტრმა განაცხადა, რომ ზავის შეკვრა შეიძლება იმ პირობით, თუ კუბელებს ეკითხვით: ჰსურთ დამოუკიდებლობა თუ თვით-მმართველობა ესპანიის მფარველობით. მინისტრი უარზეა პორტო-რიკოს დათმობის შესახებ. რაც შეეხება ფილიპეს კუნძულებს, მთავრობას ისეთი პროექტი აქვს, რომელიც უზრუნველ ჰყოფს ესპანიის კუნძულებს და აღადგენს ნორმალურს მშვიდობიანობას.

## განცხადებანი

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!

**ჰიგიენური**

ბორნო-გლიცერინის საპონი

**გ. ფ. იურგენსისა**

აქრობს ჭორფლს, სიცხისაგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამელასა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილსუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი 1895 წ.

**ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., ½ ნაჭერი 30 კაპ.**

იყიდება ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში ალმუროვთან, კავკასიაში სააფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინოვთან, გრიენკოთან, ძმ. პოპოვებთანა და არისტაკოვთან. (24—მ.—19)

ТОВАРИЩЕСТВО
**Брокаръ и К°.**
ИЗВѢСТНОЕ СВОИМЪ КАЧЕСТВОМЪ
УСОВЕРШЕНСТВОВАННОЕ
**ГЛИЦЕРИНОВОЕ МЫЛО.**




(11—მ.—1)

## ნ უ ს ხ ა

ქუთაისის მიხეილის სათავად-აზნაურო ბანკის გირავნობის ფურცელთა, გამოსულთა მეორმოცდა მესამე ტირაჟში, რომელიც მოხდა 1898 წლის 30 მაისს იმ გირავნობის ფურცლის №№-ის დამატებით, რომელნიც წარსულ წლების ტირაჟში გამოვიდნენ, მაგრამ ფულის შემოსატანად არ იყვნენ წარდგენილნი.

ფულის მიღება იმ გირავნობის ფურცლებისა, რომელიც ამ ტირაჟში გამოვიდა, დაიწყება 1898 წლის 1 ივლისიდგან და შემდეგ ამავე ვადიდგან გაუქმებულ იქმნება ზემოხსენებულის ფურცლების სარგებლის ძლევა.

დაკლებულ კუპონების ნაცვლად იმათი ღირებულება იქმნება დაჭერილი.

გირავნობის ფურცლების ფულის მიღება შეიძლება ქ. ქუთაისს, ბანკის კასსაში; ქ. პეტერბურგსა და ვარშავაში ბ-ნის ვაველბერგის საბანკირო სახლში, სახელმწიფო ბანკსა და მისს ყველა განყოფილებათა და კანტორებში.

ამ ნუსხაში ნაჩვენებია 6% გირ. ფურცელთა ნომრები მხოლოდ პირველის შვიდის სერიისა, რადგან ამ სერიების გირავნობის ფურცელთა ნომრები განცალკევებულია პირველიდგან დაწყებული. შემდეგს სერიებში, რვიდგან დაწყებული. სერიების ნომრები არ არის ნაჩვენები, რადგან ამ სერიების გირავნობის ფურცელთა ნომრები ერთი-ერთმანეთს მისდევს და, მაშასადამე, არ განმეორდება.

ბანკის გამგეობა

გირავნობის ფურცელნი, გამოსულნი მე-43 ტირაჟში.

ექვს პროცენტიანი (6%) ფურცლები $43^1/_2$ წლის ვადით.

1000 მან. ღირებულობისა.

3 სერია №№ 1, 2, 3, 11 და 12.
4 „ „ „ 23.
უკანას.ს. „ „ 255, 326, 394, 395, 396, 397, 398, 399, 400, 401, 402, 403, 404, 406, 409, 410, 411, 412, 413, 414, 415, 416, 417, 421, 422, 423, 424, 425, 426, 427, 428, 430, 431, 659, 726, 824, 825, 826, 827, და 892.

500 მან. ღირებულობისა.

2 სერია № 6.
5 „ „ 63.
7 „ „ 35.
უკანას. ს. „ 437 და 666.

100 მან. ღირებულობისა.

6 სერია №№ 8, 9, 10 და 11.
7 „ „ „ 152, 153 და 155.
უკანას.ს. „ „ 1190, 1192, 1197, 1198, 1377, 1378, 1455, 1456, 1490, 1496, 1501, 1503, 1504, 1614, 1615 და 1756.

ექვს პროცენტიანი (6%) ფურცლები $18^7/_{12}$ წლის ვადით.

1000 მან. ღირებულობისა.

8 სერია №№ 270 და 274.
უკანას.ს. „ „ 895, 1510, 1511, 1512, 1513, 2087, 2088, 2089, 2090, 2091, 2110, 2426, 2428, 2429, 2757, 2852, 2856, 2857, 2880, 3060, 3063, 3065, 3096, 3167, 3361 და 3362.

500 მან. ღირებულობისა.

9 სერია №№ 430.
უკანას.ს. „ „ 462, 690, 847, 944, 945, 979, 980, 1153, 1154, 1165, 1166, 1280, 1281 და 1362.

100 მან. ღირებულობისა.

10 სერია №№ 1221 და 1223.
უკანას. ს. „ „ 1803, 1844, 1848, 1850, 2478, 2479, 2480, 2481, 2482, 2486, 2487, 2538, 2539, 2540, 2541, 2545, 2546, 2547, 2548, 2549, 2550, 2551, 2552, 2553, 2727, 2734, 2861, 2864, 2919, 2920, 2921, 3013 და 3059.

ხუთპროცენტიანი (5%) ფურცლები $48^8/_{12}$ წლის ვადით.

1000 მან. ღირებულობისა.

1 სერია №№ 50, 51, 52 და 53.
4 „ „ „ 193, 199, 200, 201, 202, 203, 204 და 205.
5 „ „ „ 239, 240, 241, 242, 243 და 244.
6 „ „ „ 267.

500 მან. ღირებულობისა.

1 სერია №№ 7 და 8.
2 „ „ „ 100.
4 „ „ „ 208.
6 „ „ „ 277.
7 „ „ „ 296.

100 მან. ღირებულობისა.

2 სერია №№ 209.
3 „ „ „ 496 და 497.
6 „ „ „ 839.
7 „ „ „ 912.

ხუთპროცენტიანი (5%) ფურცლები $19^{11}/_{12}$ წლის ვადით.

1000 მან. ღირებულობისა.

2 სერია №№ 151, 152, 153, 154, 185, 186, 191, 192, 193, 194, 195, 196, 197, 198, 199, 200, 201, 202, 203, 204 და 205.
3 სერია №№ 254.
5 „ „ „ 385.
6 „ „ „ 447.

500 მან. ღირებულობისა.

1 სერია №№ 90 და 91.
2 „ „ „ 152, 153, 159, 160, 161, 162, 163, 166, 167, 168, 169, 170 და 171.
4 „ „ „ 321.
6 „ „ „ 485 და 486.
7 „ „ „ 502.

100 მან. ღირებულობისა.

1 სერია №№ 12, 13, 19, 50 და 27.
2 „ „ „ 294. 295, 296, 297, 305, 306 და 312.
3 სერ. №№ 560, 561, 562, 563, და 564.
4 სერ. №№ 763, 766 და 769.
5 „ „ „ 819 და 820.
6 „ „ „ 1060, 1061 და 1062.
7 „ „ „ 1256 და 1257.

ხუთპროცენტიანი (5%) ფურცლები $36^4/_{12}$ წლით

1000 მან. ღირებულობისა.

1 სერ. №№ 4, 5, 6 და 7.
3 „ „ „ 185, 186, 187, 188, 189 და 190.

100 მან. ღირებულობ.

1 სერ. №№ 119.
3 „ „ „ 624 და 625.
5 „ „ „ 1157, 1158 და 1159.

Дозволено цензурою, Тифлисъ 4 го Іюля. 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.